

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
ავტომანქანის მფლობელის მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის
პირობებისთვის
№ NV/MTPL/RETAIL/2025-V1

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ, ხოლო ძირითადი და ამომწურავი პირობები მოცემულია სადაზღვევო პირობებსა და სადაზღვევო პოლისში, შესაბამისად დაზღვევის სრული ხელშეკრულება შედგება შემდეგი შემადგენელი ნაწილებისგან:

- დაზღვევის პირობები;
- სადაზღვევო პოლისი;
- განაცხადი (რომლის საფუძველზეც შედგენილია სადაზღვევო პოლისი);

სადაზღვევო პრემიის გადახდით დამზღვევი ადასტურებს, რომ ის დეტალურად არის გაცნობილი როგორც ხელშეკრულების ძირითად პირობებს, ასევე წინამდებარე მნიშვნელოვან პირობებს და ეთანხმება მის მიერ მზღვეველთან წარდგენილ განაცხადს.

1. მზღვეველი – სს ნიუ ვიჟენ დაზღვევა (ს/კ 402160022)
მისამართი: ქ. თბილისი, ევ. მიქელაძის #1ბ,
ცხელი ხაზი/ტელეფონი: (+995 32) 2 501 501;
2. დაზღვევის ხელშეკრულების სახე (სახელწოდება) – ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

3. სადაზღვევო რისკები და დაფარვები

მოიცავს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას, მისი უშუალო მონაწილეობით (უფლებამოსილი მძღოლის ბრალეულობით) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანს, თუ ამ დროს ადგილი აქვს:

- მესამე პირის გარდაცვალებას ან ჯანმრთელობის (რომელიც ვლინდება ავტოსაგზაო შემთხვევიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის განმავლობაში) დაზიანებას;
- მესამე პირის ქონების დაზიანება/განადგურებას.

4. სადაზღვევო შენატანი (სადაზღვევო პრემია):

დაზღვევის შესაძლებელი დამზღვევმა უნდა გადაიხადოს სადაზღვევო პრემია, მის მიერ შერჩეული და მზღვეველთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, რაც ასახულია სადაზღვევო პოლისში.

5. სადაზღვევო პოლისის გააქტიურება.

- 5.1. დაზღვევის მოქმედების ვადა იწყება პოლისში მითითებული დაზღვევის პერიოდის დასაწყისად განსაზღვრული დღის 24 საათზე და მოქმედებს პოლისში განსაზღვრული დაზღვევის პერიოდის დასასრულად განსაზღვრული დღის 24 საათამდე.
- პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შენატანის სრულ გადახდამდე (გადახდის დღის 24 საათამდე) მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან (მათ შორის სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების ვალდებულებისგან).

6. სადაზღვევო თანხის ოდენობა და ანაზღაურების ძირითადი პირობა

- 6.1. სადაზღვევო თანხა არის მზღვეველის მაქსიმალური პასუხისმგებლობის ლიმიტი, რომელსაც გადაიხდის მზღვეველი დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის შესაბამისი ოდენობით (ზელშეკრულებით/პოლისით გათვალისწინებული ლიმიტის/ქველიმიტის შესაბამისად).
- 6.2. ანაზღაურების დეტალური პირობები მოცემულია პირობების:
- 6.2.1. მე-3 მუხლში;
- 6.2.2. მე-4 მუხლში. ზოგადი პირობები, პუნქტი 4.1 – 4.2
- 6.3. სადაზღვევო ანაზღაურების (ზიანის) ღირებულების გადახდა ხდება მზღვეველის და დამზღვევის მიერ დარეგულირების აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ვადაში;

7. არანაზღაურებადი მინიმუმი (ფრანშიზა):

დამზღვევის თანამონაწილეობის თანხა ზიანისას, რომელსაც მზღვეველი არ ანაზღაურებს. მზღვეველი არ ანაზღაურებს ზიანს, თუ მისი სიდიდე არ აღემატება ფრანშიზას, ხოლო თუ ზიანი მეტია ფრანშიზაზე, მზღვეველი იხდის სხვაობას ზიანის სრულ ოდენობასა და ფრანშიზას შორის (თუ ზიანი არ აღემატება სადაზღვევო თანხას) ან სადაზღვევო თანხასა და ფრანშიზას შორის (თუ ზიანი აღემატება სადაზღვევო თანხას).

8. დამზღვევის ვალდებულება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

8.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევი ვალდებულია:

- 8.1.1. დაუყოვნებლივ განაცხადოს შემთხვევის ფაქტზე საპატრულო პოლიციაში და ასევე მზღვეველის საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე: +995 322 501 501, არ დაძრას სატრანსპორტო საშუალება და განუხრელად დაიცვას მზღვეველის მითითებები;
- 8.2. შემთხვევის დადგომის შემდეგ განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის ვადები და პირობები მითითებულია დაზღვევის პირობების 4.2 მუხლში.
- 8.3. დამზღვევის მიერ დაზღვევის პირობების 4.2 მუხლით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

9. დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- სრული, ამომწურავი, სწორი და ნამდვილი ინფორმაცია დაზღვევის ობიექტის შესახებ;
- დაზღვევის მიზნით შესავსებ განაცხადში მიუთითოს სწორი და სრული ინფორმაცია;
- ინფორმაცია ორმაგი დაზღვევის არსებობის შესახებ;
- სრული და სწორი ინფორმაცია სადაზღვევო რისკების შესაძლო გაზრდის ან/და ასეთი საფრთხის წარმოშობის/სავარაუდო წარმოშობის შესახებ;
- სრული და სწორი ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის და მასში მონაწილე პირების შესახებ;
- ინფორმაცია დაზღვევის ობიექტის გასხვისების ან/და დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ;
- ინფორმაცია დაზღვევის ობიექტის გამოყენების დანიშნულების ცვლილების შესახებ;
- სხვა ინფორმაცია, რომლის მიწოდების ვალდებულებაც ეკისრება დამზღვევს ხელშეკრულების შესაბამისად;

დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიწოდება სავალდებულოა მზღვეველის მიერ სრულყოფილი სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით; დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის აღნიშნული ინფორმაციის მიუწოდებლობის ან/და არასრული სახით მიწოდების ან/და მცდარი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე;

10. დაზღვევის მოქმედების შეწყვეტა და შედეგები

10.1. დაზღვევა ვადამდე შესაძლებელია შეწყდეს:

- 10.1.1. პოლისში მითითებული ლიმიტის ამოწურვისას;
- 10.1.2. თუ აღარ არსებობს დაზღვევის ობიექტი;
- 10.1.3. დამზღვევის მიერ 14 (თოთხმეტი) დღით ადრე განხორციელებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;
- 10.1.4. მზღვეველის მიერ 14 (თოთხმეტი) დღით ადრე განხორციელებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;
- 10.1.5. მზღვეველის მიერ დაუყოვნებლივ, დამზღვევისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით, დამზღვევის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისას და ასევე, იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის/მოსარგებლის/მძღოლის მიერ მზღვეველს მიეწოდა არასწორი/ყალბი/შეცდომაში შემყვანი/არასრული ინფორმაცია;
- 10.1.6. დაზღვევის პირობებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

- 10.2. დაზღვევის ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში (გარდა 8.5 პუნქტით გათვალისწინებული პირობისა), მათ შორის იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის ინიციატორი არის დამზღვევი (ასევე მზღვეველის ინიციატივით, როდესაც აღნიშნული განპირობებულია დამზღვევის მიერ

ვალდებულების დარღვევით (მათ შორის პრემიის გადაუხდელობის გამო), დამზღვევი ვალდებულია:

- 10.2.1. გადაიხადოს სრული სადაზღვევო პრემია თუ ანაზღაურებული აქვს თუნდაც ერთი ზიანი;
- 10.2.2. გადაიხადოს შეწყვეტის მომენტისთვის არსებული გამომუშავებული პრემია თუ სადაზღვევო პერიოდში არ არის დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა.
- 10.3. იმ შემთხვევაში თუ დაზღვევის მოქმედების ინიციატორი არის მზღვეველი (გარდა იმ შემთხვევისა თუ აღნიშნული განპირობებულია დამზღვევის მიერ ვალდებულების დარღვევით), დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ დაზღვევის შეწყვეტის მომენტისათვის გამომუშავებული სადაზღვევო პრემია.
- 10.4. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი დაარღვევს პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო პრემიის (სრულად ან ნაწილობრივ) გადახდის ვადას 14 (თოთხმეტი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით, მას შეუჩერდება სადაზღვევო მომსახურება მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე, ხოლო ვადის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდეგ მზღვეველი აუქმებს ხელშეკრულებას ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე. სადაზღვევო ხელშეკრულების გაუქმებამდე დავალიანების გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება დავალიანების გადახდის დღიდან 24 (ოცდაოთხი) საათის გასვლის შემდგომ; სადაზღვევო ხელშეკრულების გაუქმებამდე დავალიანების გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება მისი მოქმედების ვადით, თუმცა დავალიანების პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები არ ექვემდებარება ანაზღაურებას. ამასთან, თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგება პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის გადახდის დღიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში, მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო ანაზღაურებას გამოაკლოს პოლისზე არსებული დავალიანების თანხა.
- 10.5. დაზღვევის პოლისის გაფორმებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში დამზღვევი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარი თქვას დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რა შემთხვევაშიც მხარეები ვალდებულნი არიან შეწყვეტის მომენტიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ერთმანეთს დაუბრუნონ ხელშეკრულების გაფორმების შესაბამისად მიღებული სიკეთე და აღადგინონ პირვანდელი მდგომარეობა (მათ შორის დამზღვევი ვალდებულია უკან დაუბრუნოს მზღვეველს მიღებული ანაზღაურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)). წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული დამზღვევის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ოფიციალური წერილის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (პოლისში მითითებული ელექტრონული მისამართიდან მზღვეველის cancelpolicy@nvi.ge ელექტრონულ ფოსტაზე) მოთხოვნის გამოგზავნით, რომელიც უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ფორმის შესაბამისად.

დეტალური შეწყვეტის პირობები და შედეგები მოცემულია ძირითადი პირობების მე-8 მუხლში.

11. პრეტენზიის განხილვა, დავის გადაჭრა, ზიანის ანაზღაურება

11.1. მზღვეველის მიმართ პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის მიღება, განხილვა და რეგულირება ხდება მზღვეველის „მომხმარებელთა პრეტენზიების მიღებისა და განხილვის პროცედურის“ შესაბამისად, პრეტენზია წარედგინება მზღვეველის ხარისხის მართვისა და მომხმარებელზე ზრუნვის სამსახურს შემდეგი საშუალებით:

- წერილობითი (მატერიალური) ფორმით მზღვეველის ნებისმიერ ოფისსა და მომსახურების ცენტრში;
- ელექტრონული ფორმით:
 - მზღვეველის ელექტრონულ ფოსტაზე complaints@nvi.ge პრეტენზიის დაფიქსირებით;
 - მზღვეველის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.nvi.ge საპრეტენზიო განაცხადის ფორმის შევსებით.

გ) ზეპირსიტყვიერი ფორმით:

- მზღვეველის საინფორმაციო სამსახურში პრეტენზიის დაფიქსირებით, ნომერზე: (+995 32) 2 501 501

11.2. ნებისმიერი ფორმით წარმოდგენილ პრეტენზიაზე პასუხის მიღების ვადა შეადგენს განაცხადის/უკმაყოფილების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეს. აღნიშნულ ვადაში გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, საქმის წარმოების ჯამური ვადა არ აღემატება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს. დეტალური ინფორმაცია მზღვეველის ოფის(ებ)ის/მომსახურების ცენტრ(ებ)ის მისამართ(ებ)ის და პროცედურის თაობაზე იხილეთ მზღვეველის ვებ-გვერდზე www.nvi.ge ან დაუკავშირდით საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე - (+995 32) 2 501 501.

12. ანაზღაურებას არ ექვემდებარება (გამონაკლისები)

12.1. დამზღვევის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვევის პირობებში მითითებული გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც მითითებულია შემდეგ მუხლებში:

12.1.1. მე-4 მუხლის 4.1. პუნქტი.

12.2. გამონაკლისების გარდა, ანაზღაურებას არ ექვემდებარება დამდგარი ზიანი შემდეგ შემთხვევებში:

12.2.1. პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის სრულად გადახდამდე მომხდარი ზიანი ანაზღაურებას არ ექვემდებარება;

12.2.2. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადას გადააცილებს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით, მზღვეველი აჩერებს სადაზღვევო მომსახურებას და ამ პერიოდში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა ანაზღაურებას არ ექვემდებარება;

12.2.3. მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას ანაზღაურებაზე, თუ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი აქვს ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევს

ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ მზღვეველისთვის ინფორმაცია არ
წარუდგენია წერილობითი ფორმით.

12.2.4. დაზღვევის პირობებით ან/და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით
გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში;

ანაზღაურების გამომრიცხველი გარემოებები, ასევე გათვალისწინებულია საქართველოს
მოქმედი კანონმდებლობით.

13. მზღვეველის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს:

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

მისამართი: ქ. თბილისი, აბულაძის ქ. #34

ტელ: +995 32 223 44 10



A handwritten signature in blue ink is placed over a circular official stamp. The stamp contains the following text:
402160022
ნიუ ვიქტორ
დაზღვევა
2024 წლის 08 თებერვალის 18

ავტომანქანის მფლობელის მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის
ხელშეკრულება/პირობები
№ NV/MTPL/RETAIL/2025-V1

1. ტერმინთა განმარტებები

- 1.1. **დამზღვევი** - პირი, რომელიც უშუალოდ აფორმებს სადაზღვევო ხელშეკრულებას და რომელიც მითითებულია პოლისში.
- 1.2. **მზღვეველი** - სს „ნიკა ვიუენ დაზღვევა“.
- 1.3. **მოსარგებლები** - პირი, ვისაც მიადგა ზიანი და ვინც სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ იღებს ანაზღაურებას;
- 1.4. **სადაზღვევო პოლისი** (შემდგომში სადაზღვევო პოლისი ან პოლისი) - წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი. პოლისი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ამასთანავე პოლისში მითითებულ პირობებსა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ დებულებებს შორის სხვაობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სადაზღვევო პოლისს.
- 1.5. **ფრანშიზა** - დამზღვევის თანამონაწილეობის თანხა ზიანისას, რომელსაც მზღვეველი არ ანაზღაურებს. მზღვეველი არ ანაზღაურებს ზიანს, თუ მისი სიდიდე არ აღემატება ფრანშიზას, ხოლო თუ ზიანი მეტია ფრანშიზაზე, მზღვეველი იხდის სხვაობას ზიანის სრულ ოდენობასა და ფრანშიზას შორის (თუ ზიანი არ აღემატება სადაზღვევო თანხას) ან სადაზღვევო თანხასა და ფრანშიზას შორის (თუ ზიანი აღემატება სადაზღვევო თანხას).
- 1.6. **საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (ავარია)** - საავტომობილო გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას და მისი მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა ან სხვა ქონება და რომელიც დაფიქსირებულია შსს-ს მიერ;
- 1.7. **მესამე პირი** - პირი, რომელიც არ წარმოადგენს დამზღვევს, მოსარგებლეს, ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლს ან მგზავრს (მგზავრობის ან მასში ჩაჯდომა/გადმოსვლის პერიოდის ჩათვლით) ან მათი ოჯახის წევრს და რომელსაც მიადგა ზიანი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად;
- 1.8. **უფლებამოსილი მძღოლი** - პირ(ები), რომელსაც აქვს შესაბამისი კატეგორიის მოქმედი მართვის მოწმობა (გააჩნია მართვის უფლება), რომელთა კონკრეტული ჩამონათვალი განსაზღვრულია პოლისით;
- 1.9. **დაზღვევის ტერიტორია** - პოლისში მითითებული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი ანაზღაურებს ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარ ზიანს.
- 1.10. **სადაზღვევო ლიმიტი (ლიმიტი)** - პოლისში მითითებული სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური სიდიდე - მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევ(ები)თ მიყენებული ზიანი.
- 1.11. **მიმდინარე სადაზღვევო ლიმიტი** - პოლისში განსაზღვრულ სადაზღვევო ლიმიტს გამოკლებული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში უკვე ანაზღაურებული ზიან(ები)ს თანხა და სადაზღვევო შემთხვევის დროს საჭირო ევაკუირების ხარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), (ზიანის ანაზღაურების დროს სადაზღვევო თანხა მცირდება ანაზღაურებული თანხის და ევაკუირების ხარჯის (ასეთის გამოყენების შემთხვევაში)) ოდენობით.
- 1.12. **სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა, ქონება ან მომსახურება, რომელიც მზღვეველისაგან ეკუთვნის დამზღვევს/მოსარგებლეს, მესამე პირს ან მის მემკვიდრეს წინამდებარე პირობების საფუძველზე.

- 1.13. **საბაზრო ღირებულება** - თანხა, რომელიც საჭიროა საქართველოს ბაზარზე დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ანალოგიური მარკის, მოდელის და იგივე მახასიათებლების მქონე ტრანსპორტის/ნაწილის შესაძენად;
- 1.14. **აღდგენის ღირებულება** - თანხა, რომელიც საჭიროა დაზიანებული ქონების / ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე აღსადგენად (საჭირო სამუშაოების, აუცილებელი მასალების და სათადარიგო ნაწილების საბაზრო ღირებულება).
- 1.15. **სადაზღვევო შემთხვევა** - ხელშეკრულებით/პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკების შედეგად გამოწვეული ზიანი, რომელიც წარმოშობს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებას და რომელიც დასტურდება მზღვეველის მიერ შედგენილი და მხარეთა მიერ ხელმოწერილი დარეგულირების აქტით;
- 1.16. **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა.
- 1.17. **გამოუშავებული სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასრულებამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა.
- 1.18. **პირადი დანიშნულება** - ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენება, რომელიც არ არის განკუთვნილი სამსახურეობრივი ან შემოსავლის მიღების მიზნებისათვის.

2. დაზღვევის ობიექტი

- 2.1. ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა (MTPL) მოიცავს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას, მისი უშუალო მონაწილეობით (უფლებამოსილი მდლოლის ბრალეულობით) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანს, თუ ამ დროს ადგილი აქვს:
 - 2.1.1. მესამე პირის გარდაცვალებას ან ჯანმრთელობის (რომელიც ვლინდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის განმავლობაში) დაზიანებას;
 - 2.1.2. მესამე პირის ქონების დაზიანება/განადგურებას.
- 2.2. მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს, პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის/ლიმიტის (ფრანშიზის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით) ფარგლებში:
 - 2.2.1. რომლის გადახდაც სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად დაეკისრება დამზღვევს/უფლებამოსილ მდლოლს/მფლობელს; ან
 - 2.2.2. რომელიც დადგინდება მზღვეველს, დამზღვევსა და დაზარალებულ მესამე პირს შორის ერთობლივი შეთანხმების შედეგად, რომლის მიღების შემდეგაც არც დამზღვეს და არც მესამე პირს არ ექნებათ არანაირი პრეტენზია მზღვეველის მიმართ;
- 2.3. თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალდა რამდენიმე პირი, ხოლო დამზღვევზე დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობამ გადააჭარბა პოლისში მითითებულ ლიმიტს, ანაზღაურებას თითოეული მხარე მიიღებს პროპორციულად (მისი ზიანის წილის შესაბამისად საერთო ზიანში) შესაბამისი სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში;
- 2.4. ამ დაზღვევით ასევე იფარება სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯები, არაუმეტს სადაზღვევო პოლისში მითითებული ლიმიტის 20%-ის ოდენობით, რომელიც გაწეული იქნება, მზღვეველის წინასწარი წერილობითი თანხმობით.
- 2.5. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის/თანხის გაცემა დამზღვევის მიერ ხდება მხოლოდ მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებით.
- 2.6. მოცემული დაზღვევა არ არის დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის ქვეყანაში მოქმედი საგალდებულო დაზღვევის შემცვლელი. მზღვეველი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ ზიანზე, რომელიც აღემატება სავალდებულო დაზღვევიდან მისაღებ ანაზღაურებას, ასეთი დაზღვევის არსებობის შემთხვევაში;

3. ასანაზღაურებელი თანხის გამოთვლა

- 3.1. მესამე პირის ქონების მიმართ მიყენებული ზიანისას:
 - 3.1.1. ქონების სრული განადგურებისას - შემთხვევის დადგომის მომენტისათვის მისი საბაზრო აღდგენითი (შენაცვლებითი) ან რეალური საბაზრო ღირებულების შესაბამისად, რასაც გამოაკლდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად დარჩენილი ქონების ღირებულება - ნარჩენი ღირებულება;
 - 3.1.2. ქონების ნაწილობრივი დაზიანებისას - დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების/აღდგენის ხარჯები.
- 3.2. მესამე პირის გარდაცვალებით ან ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანისას:
 - 3.2.1. სხეულის დაზიანებისას - დაზარალებულ მესამე პირზე გაწეული გადაუდებელი სამედიცინო ხარჯები, რომელიც უნდა დასტურდებოდეს ფორმა #100-ითა და შესაბამისი გადახდის დამადასტურებელი ჩეკით. თუ დაზარალებული სარგებლობს რაიმე ტიპის სახელმწიფო პროგრამით მზღვეველი აანაზღაურებს მხოლოდ იმ ნაწილს რაც არ აანაზღაურდა სახელმწიფო პროგრამის მიერ.
 - 3.2.2. პირის შრომისუნარიობის შემთხვევაში, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ორგანოს მიერ, აანაზღაურდება დაზარალებულის ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიღებული შრომითი აანაზღაურების:
 - ა) შრომისუნარიანობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდვისას - 100%;
 - ბ) შრომისუნარიანობის მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვისას - 60%;
 - გ) შრომისუნარიანობის ზომიერად გამოხატული შეზღუდვისას - 30%
 - 3.2.3. გარდაცვალებისას - სადაზღვევო შემთხვევამდე 1 (ერთი) წლის განმავლობაში მიღებული დოკუმენტაციურად დადასტურებული შრომის აანაზღაურება სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში
- 3.3. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული პირი (მისი სამართალმემკვიდრე) ვერ ადასტურებს შემოსავალს, აანაზღაურდება თვეში არაუმეტეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი, 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში;

4. ზოგადი პირობები

- 4.1. წინამდებარე დაზღვევით აანაზღაურებას არ ექვემდებარება (გამონაკლისები) შემდეგი შემთხვევები:
 - 4.1.1. დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართავდა პირი, რომელიც იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან/და ტოქსიკური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ (მიუხედავად იმისა, სადაზღვევო შემთხვევა მოხდა დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის ბრალით/მიზეზით თუ ნებისმიერი სხვა პირის ბრალით/მიზეზით);
 - 4.1.2. მძღოლმა უარი განაცხადა მისი მდგომარეობის დასადგენად შესაბამისი სინჯების ჩაბარებაზე ან/და მზღვეველთან არ იქნა წარდგენილი ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმი ან ალკოტესტით შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან/და ტოქსიკური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ამსახველი დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა თუ ამგვარი შემოწმება არ განხორციელებულა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების მიერ;
 - 4.1.3. დამზღვევი (დაზღვეული) მესამე პირის წინაშე თავის ვალდებულებებს თუ აღიარებს მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;
 - 4.1.4. ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი (მათ შორის მართვის უფლების შეჩერების/ჩამორთმევის პერიოდში); ასევე იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს კონკრეტულ სიტუაციაში კანონმდებლობით ეკრძალება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა (მათ შორის და არამხოლოდ: მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო) და ა.შ.);
 - 4.1.5. დაზღვეული ავტოტრანსპორტი გადაადგილებულია ან უფლებამოსილ მძღოლს მიტოვებული აქვს შემთხვევის ადგილი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამისათვის არსებობს საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული მითითება.
 - 4.1.6. დამზღვევის ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოიყენება პირადის გარდა სხვა დანიშნულებით, ამასთან, თუ სადაზღვევო პოლისის გაცემის დროს ან/და სადაზღვევო შემთხვევის ხდომილებისას დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაცემულია ტაქსის ლიცენზია, წინამდებარე პირობებით

გათვალისწინებული დაზღვევის მიზნებისთვის ავტომატურად იგულისხმება, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოიყენება კომერციული დანიშნულებით. ასეთ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე;

- 4.1.7. ადგილი აქვს შემთხვევას, დანაკარგს ან დაზიანებას, რომლის დროსაც დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება გადაადგილდებოდა სამშენებლო ან/და ისეთ ტერიტორიაზე, სადაც ავტოტრანსპორტის გადაადგილება აკრძალულია.
- 4.1.8. ადგილი აქვს შემთხვევას, რომელიც შედეგად მოჰყვა გასაღების/სარეგისტრაციო მოწმობის ავტოსატრანსპორტო საშუალებაში დატოვებას, გასაღების არაუფლებამოსილი მძღოლისთვის გადაცემას, მათ შორის გასაღების ნებისმიერი დაცვის, პარკირების ან სხვა მსგავსი სამსახურებისთვის გადაცემას; შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან კარების ღიად დატოვებას;
- 4.1.9. ავტოსატრანსპორტო საშუალების დაგორებით დამდგარი შემთხვევა.
- 4.1.10. ზიანი მიადგა ქონებას, რომელიც წარმოადგენს დამზღვევის ან უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას, მინდობილობით ინახება მასთან, ან რომლის გადაზიდვა ხორციელდება დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებით ან/და ზიანი გამოწვეულია დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით (თუ მისაბმელი არ არის დაზღვეული);
- 4.1.11. გარემოებები, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია დამზღვევის ან მისი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ არ აცნობა მზღვეველს წერილობითი ფორმით ან მზღვეველს მიაწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტი) აღნიშნულის შესახებ;
- 4.1.12. ავტომობილის შეკეთების ხარჯები საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებული სერვისცენტრის მიერ გაცემული განფასებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მზღვეველი არ მიიღებს განსხვავებულ გადაწყვეტილებას.
- 4.1.13. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოიყენება სისწრაფეში შეჯიბრში ან დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ნებისმიერი სახით გამოცდა (Off Road; Test Drive);
- 4.1.14. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება გადატვირთულია, მგზავრთა რაოდენობა აღემატება დასაშვებს ან გამოიყენება შეუსაბამო საგზაო პირობებში (ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოიყენება ადგილებში, რომლებიც არ არის განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის, მათ შორის, აეროპორტის ან საფრენი მოედნის აკრძალულ უბნებში);
- 4.1.15. ავტოსატრანსპორტო საშუალება იძებნება ან მახასიათებლები არ ემთხვევა მის VIN კოდს.
- 4.1.16. თუ ზიანი გამოწვეულია ისეთი ქმედებით, რომლის დროსაც მზღვეველი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უარი განაცხადოს ზიანის ანაზღაურებაზე;
- 4.1.17. ომი, დაპყრობა, საომარი მოქმედებები (მიუხედავად იმისა, ომი გამოცხადებული იყო თუ არა), სამოქალაქო ომი, გაფიცვა, სამოქალაქო არეულობა, აჯანყება, რევოლუცია, სახელმწიფო გადატრიალება, ტერორიზმი, საბოტაჟი, მასობრივი არეულობები – ამ გარემოებების დროს დამდგარი ზიანი;
- 4.1.18. თუ მოსარგებლე დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენით სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან შეუთანხმებლად;
- 4.1.19. გარემოს დაბინძურებით, მაიონიზირებული რადიაციით, დასხივებული საწვავით დაბინძურებით, ბირთვული ნაჩენებით, ბირთვული საწვავის აალებით, რადიოაქტიური, ტოქსიკური, ადვილად აალებადი და ბირთვული დანადგარების სხვა სარისკო კომპონენტების შედეგად დამდგარი ზიანი;
- 4.1.20. ავტოსატრანსპორტო საშუალების არალეგალური ან მართვისათვის უვარგისი, მათ შორის ტექნიკურად გაუმართავი ან ექსპლუატაციის პირობებისათვის შეუსაბამო ტექნიკური მდგომარეობით დამდგარი დაზიანება, მათ შორის: დადგენილი წესის თანახმად შემთხვევის დღეს საბურავების პროტექტორის სიმაღლისა და საბურავების სეზონურობასთან შეუსაბამისობით გამოწვეული შემთხვევები. ასევე: მუხრუჭების გაუმართაობით, ელექტრონული გაუმართაობით დამდგარი შემთხვევა, საწვავის სისტემის გაუმართაობით დამდგარი შემთხვევა;
- 4.1.21. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში დროულად არ იყო გადახდილი სადაზღვევო პრემია სრულად ან პოლისის გრაფიკით გათვალისწინებული ნაწილი;
- 4.1.22. განაცხადში სადაზღვევო შემთხვევის შესახებ დამზღვევის / მისი წარმომადგენლის მიერ დაფიქსირებული ფაქტები და გარემოებები არსებითად ეწინააღმდეგება სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილ შესაბამის დოკუმენტებში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებს.

- 4.1.23. ადმინისტრაციული ან/და ნებისმიერი სახის სხვა ჯარიმა, მათ შორის და არა მხოლოდ, ავტოსატრანსპორტო საშუალების საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯი, ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების პერიოდში, დაზიანების შედეგად მიუღებელი შემოსავალი;
- 4.1.24. დამზღვევის ან უფლებამოსილი მძღოლის განზრახი ქმედება, რომელიც მიმართულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისაკენ, მათ შორის ზიანი გამოწვეული თვითმკვლელობით, თვითმკვლელობის მცდელობით და საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით ან მიყენების მცდელობით;
- 4.1.25. დამზღვევის ან უფლებამოსილი მძღოლის მიერ საქართველოს/საერთაშორისო კანონმდებლობის, დადგენილი სტანდარტებისა და წინდახედულობის ნორმების განსაკუთრებით მძიმე დარღვევა, ასევე მძღოლის ქმედება, როდესაც მან არ გამოიჩინა აუცილებელი ყურადღება უჩვეულოდ მაღალი ხარისხით და გამოიჩინა მეტისმეტი დაუდევრობა, რაც შესაძლებელია მიჩნეულ იქნას უხეშ გაუფრთხილებლობად, კერძოდ შესაძლებელია იყოს, თუმცა არ შემოიფარგლება, შემდეგი შემთხვევებით:
- 4.1.25.1. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი მოძრაობს საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით;
- 4.1.25.2. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ უწყვეტი ზოლის გადაკვეთა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით;
- 4.1.25.3. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოქმედი კანონმდებლობით დამვებული სიჩქარის გადაჭარბება 30 კმ/სთ და მეტით;
- 4.1.25.4. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ შუქნიშნის ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნის დაუმორჩილებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა თუ აღნიშნული აუცილებელია მესამე მხარის სიცოცხლის ან და ქონების გადარჩენისთვის;
- 4.1.26. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სამოძრაო ზოლში ან ველობილიკზე მოძრაობა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით (ე.წ. Bus Line-ზე);
- 4.1.27. შემთხვევა, დაკავშირებული დამზღვევის ან უფლებამოსილი მძღოლის ფსიქიკურ ან მძიმე ნერვულ აშლილობასთან, თუ შესაბამისი დიაგნოზი დადგენილია სამედიცინო დაწესებულების მიერ უფლებამოსილი მძღოლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე ან მისი მოქმედების პერიოდში;
- 4.1.28. გაყალბება: თუ დამზღვევი ან მოსარგებლე რაიმე ხერხით გააყალბებს/მიაწვდის არასწორ ინფორმაციას ან შეეცდება, რომ გააყალბოს/მიაწოდოს არასწორი ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით (ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი), მზღვეველს უფლება აქვს არ აანაზღაუროს შესაბამისი ზიანი. ეს პირობა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი/მოსარგებლე შეგნებულად ზრდის ზიანის თანხას ან აწვდის მზღვეველს ყალბ ან არასწორ ინფორმაციას;
- 4.1.29. თუ სადაზღვევო განაცხადში დამზღვევის მიერ მითითებული რომელიმე ინფორმაცია აღმოჩნდება არასწორი/არაზუსტი ან მითითებული ინფორმაცია შეიცვლება დაზღვევის შემდეგ და აღნიშნულის შესახებ მზღვეველი არ იქნება ინფორმირებული/არ იქნება მზღვეველის თანხმობა აღნიშნული შეცვლილი პირობებით დაზღვევასთან დაკავშირებით.
- 4.1.30. ბუნებრივი ცვეთით, ამორტიზაციით ან მექანიკური თუ ელექტროსისტემის მწყობრიდან გამოსვლით დამდგარი ზიანი;
- 4.1.31. დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში მყოფი მგზავრის ბრალეულობით დამდგარი (კარის გაღების დროს მესამე პირის ქონების, სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაზიანება) ზიანი.
- 4.1.32. მესამე პირის ქონების დაზიანება, რომელიც იმყოფება დამზღვევის/უფლებამოსილი მძღოლის მეთვალყურეობის ქვეშ (მაგ. ავტოსატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული მესამე პირის ტვირთი);
- 4.1.33. დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯი; ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების პერიოდში, დაზიანების შედეგად მიუღებელი შემოსავალი;

4.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მხარეთა ურთიერთობა

- 4.2.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისათანავე დამზღვევი ვალდებულია:

- 4.2.1.1. დაუყოვნებლივ განაცხადოს შემთხვევის ფაქტზე საპატრულო პოლიციაში და ასევე მზღვეველის საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე: +995 322 501 501 და განუხრელად დაიცვას მზღვეველის მითითებები;
- 4.2.1.2. არ დაძრას ავტოსატრანსპორტო საშუალება ადგილიდან საპატრულო პოლიციის მისვლამდე და შეინარჩუნოს შემთხვევის პირვანდელი სახე მზღვეველის მიერ დათვალიერებამდე და დასურათებამდე;
- 4.2.1.3. შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) კალენდარული დღისა, წარადგინოს მზღვეველთან წერილობითი (მატერიალური, ელექტრონული ან აუდიო) განაცხადი ზიანის დადგომის შესახებ;
- 4.2.2. შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა დამზღვევი ვალდებულია წარუდგინოს მზღვეველს შემდეგი დოკუმენტაცია:
- 4.2.2.1. უფლებამოსილი მძღოლის პირადობის და მართვის უფლების დამადასტურებელი მოქმედი დოკუმენტები/საკონტაქტო ინფორმაცია;
- 4.2.2.2. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის ალკოჰოლური თრობის ფაქტის შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტ(ები) (მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას უფლებამოსილი მძღოლის ნარკოტიკული/ტოქსიკური/ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დამდგენი დოკუმენტი), გარდა იმ შემთხვევისა თუ ამგვარი შემოწმება არ განხორციელებულა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების მიერ;
- 4.2.2.3. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი (ობიექტური შესაძლებლობების ფარგლებში);
- 4.2.2.4. დაზარალებული მესამე პირის/მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი, ქონების და/ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია და საკონტაქტო ინფორმაცია;
- 4.2.2.5. შრომისუნარიანობის შეზღუდვისას - ცნობა/დოკუმენტაცია სამედიცინო დაწესებულებიდან, პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული დასკვნა, რომელიც განსაზღვრავს შრომისუნარიანობის შეზღუდვის ხარისხს (ობიექტურად შესაძლო მინიმალურ ვადაში);
- 4.2.2.6. გარდაცვალების შემთხვევაში - გარდაცვალების მოწმობა; გარდაცვალების შესახებ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა; სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილი პირის (შემდგომში – მემკვიდრე) წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში (ობიექტურად შესაძლო მინიმალურ ვადაში); მემკვიდრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; მემკვიდრის საბანკო რეკვიზიტი;
- 4.2.3. დამზღვევი ვალდებულია წარუდგინოს მზღვეველს წინამდებარე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაცია სრულად, ასევე მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში (რაც გამოწვეული უნდა იყოს შემთხვევის დარეგულირების აუცილებლობით) სხვა დამატებითი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი თქვას შემთხვევის განხილვაზე.
- 4.2.4. დამზღვევის მიერ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშრებით, სატელეფონო შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე. ამასთანავე, მზღვეველთან სატელეფონო შეტყობინების დაგვიანების ობიექტური მიზეზები უნდა იყოს მითითებული განაცხადში.

5. შემთხვევის დარეგულირება

- 5.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველია მზღვეველის მიერ შედგენილი დარეგულირების აქტი. წინამდებარე პირობების საფუძველზე მზღვეველი იღებს ვალდებულებას შეადგინოს დარეგულირების აქტი ან გასცეს მოტივირებული წერილობითი უარი სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე დამზღვევის/მოსარგებლის მიერ ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო თუ შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა დამატებითი დრო, აცნობოს აღნიშნულ ვადაში დამზღვევს;
- 5.2. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხდება მზღვეველის და მოსარგებლის მიერ დარეგულირების აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ვადაში;

- 5.3. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ სადაზღვევო ლიმიტი მცირდება გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების თანხის შესაბამისად.
- 5.4. წებისმიერ შემთხვევაში, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხდარ ყველა სადაზღვევო შემთხვევაზე სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა სადაზღვევო პოლისში დაფიქსირებული სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში;
- 5.5. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ, მზღვეველის თანხმობის შემთხვევაში, დამზღვევი უფლებამოსილია დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე აღადგინოს საწყისი სადაზღვევო ლიმიტი.
- 5.6. თუ შემთხვევის დადგომასთან დაკავშირებულ ფაქტებზე აღმრულია სისხლის სამართლის საქმე, მზღვეველი უფლებამოსილია გადადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება გამოძიების დამთავრებამდე ან საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

6. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და პირობები

- 6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის დამზღვევი მზღვეველს უხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას, რომლის ოდენობა და გადახდის ვადები განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით. თუ პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის გადახდის დღე ემთხვევა დასვენების/უქმე დღეს, გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს, ასეთ შემთხვევაში, მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე სადაზღვევო პრემიის გადახდა არ ჩაითვლება ვადაგადაცილებაში;
- 6.2. სადაზღვევო პრემიის გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად;
- 6.3. სადაზღვევო პრემია შეიძლება გაიზარდოს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში (მაგალითად, თუ შეიცვალა ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენების მიზანი ან უფლებამოსილი მძღოლი, ან სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ზრდის რისკს) რის შესახებაც მხარეები გააფორმებენ დამატებით შეთანხმებას, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში შეწყდება დაზღვევა, რომელზეც იმოქმედებს შეწყვეტის პირობები (მე-8 მუხლი).
- 6.4. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი დაარღვევს პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო პრემიის (სრულად ან ნაწილობრივ) გადახდის ვადას 14 (თოთხმეტი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით, მას შეუჩერდება სადაზღვევო მომსახურება მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე, ხოლო ვადის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდეგ მზღვეველი უქმებს ხელშეკრულებას ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე. სადაზღვევო ხელშეკრულების გაუქმებამდე დავალიანების გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება დავალიანების გადახდის დღიდან 24 (ოცდაოთხი) საათის გასვლის შემდგომ; სადაზღვევო ხელშეკრულების გაუქმებამდე დავალიანების გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება მისი მოქმედების ვადით, თუმცა დავალიანების პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები არ ექვემდებარება ანაზღაურებას. ამასთან, თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგება პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის გადახდის დღიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში, მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო ანაზღაურებას გამოაკლოს პოლისზე არსებული დავალიანების თანხა.
- 6.5. პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.
- 6.6. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გასხვისებისას დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს აღნიშნულის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში შემთხვევის დადგომის მომენტში შეუტყობინებლობა გახდება მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი. ასევე გასხვისების შემთხვევაში:
 - 6.6.1. მზღვეველის თანხმობის შემთხვევაში გაგრძელდება დაზღვევა და ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა უფლება და ვალდებულება გადავა ახალ შემძებზე;
 - 6.6.2. მზღვეველი ცალმხრივად უფლებამოსილია განსხვავებული პირობების შეთავაზება, მათ შორის პრემიის ცვლილება, ხოლო თუ დამზღვევისთვის არ იქნება მისაღები ახალი პირობა ის ისარგებლებს შეწყვეტის უფლებით, რაზეც გავრცელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცალმხრივად შეწყვეტის პირობები (მე-8 მუხლი);
 - 6.6.3. მზღვეველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც მხარეები იმოქმედებენ მე-8 მუხლის პირობების შესაბამისად.

6.7. წინამდებარე მუხლის 6.6 პუნქტით გათვალისწინებული პირობები ვრცელდება განაცხადში მითითებული პარამეტრების ცვლილების შემთხვევაში, მათ შორის სატრანსპორტო საშუალების დროებით სარგებლობაში (იჯარა, ქირავნობა და ა.შ.) გადაცემისას.

7. ორმაგი დაზღვევა

7.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეულია აგრეთვე სხვა სადაზღვევო პოლისით, „მზღვეველი“ გადაიხდის ზიანს პროპორციულად, „მზღვეველის“ სადაზღვევო ლიმიტის ჯამურ (ყველა პოლისის) სადაზღვევო ლიმიტში თავისი წილის პროპორციულად, მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას ანაზღაურებაზე, თუ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი აქვს ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევს ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ მზღვეველისთვის ინფორმაცია არ წარუდგენია წერილობითი ფორმით.

8. დაზღვევის მოქმედება და მისი შეწყვეტის პირობები

- 8.1. დაზღვევის მოქმედების ვადა იწყება პოლისში მითითებული დაზღვევის პერიოდის დასაწყისად განსაზღვრული დღის 24 საათზე და მოქმედებს პოლისში დაზღვევის პერიოდის დასასრულად განსაზღვრული დღის 24 საათამდე. ამასთანავე, დაზღვევა ძალაში შედის მხოლოდ დამზღვევის მიერ ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის ან განვადებით გადახდის შემთხვევაში სადაზღვევო პრემიის პირველი ნაწილის სრულად გადახდის შემდეგ, გადახდის დღის 24 საათზე;
- 8.2. დაზღვევა ძალაშია მხოლოდ სადაზღვევო პოლისში მითითებულ ტერიტორიულ ფარგლებში, პოლისით განსაზღვრულ დაზღვევის პერიოდში;
- 8.3. დაზღვევა ვადამდე შესაძლებელია შეწყდეს:
 - 8.3.1. პოლისში მითითებული ლიმიტის ამოწურვისას;
 - 8.3.2. თუ აღარ არსებობს დაზღვევის ობიექტი;
 - 8.3.3. დამზღვევის მიერ 14 (თოთხმეტი) დღით ადრე განხორციელებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;
 - 8.3.4. მზღვეველის მიერ 14 (თოთხმეტი) დღით ადრე განხორციელებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;
 - 8.3.5. მზღვეველის მიერ დაუყოვნებლივ, დამზღვევისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით, დამზღვევის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისას და ასევე, იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის/მოსარგებლის/მძღოლის მიერ მზღვეველს მიეწოდა არასწორი/ყალბი/შეცდომაში შემყანი/არასრული ინფორმაცია;
 - 8.3.6. წინამდებარე პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;
- 8.4. დაზღვევის ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში (გარდა 8.5 პუნქტით გათვალისწინებული პირობისა), მათ შორის იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის ინიციატორი არის დამზღვევი (ასევე მზღვეველის ინიციატივით, როდესაც აღნიშნული განპირობებულია დამზღვევის მიერ ვალდებულების დარღვევით (მათ შორის პრემიის გადაუხდელობის გამო)), დამზღვევი ვალდებულია:
 - 8.4.1. გადაიხადოს სრული სადაზღვევო პრემია იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებული აქვს თუნდაც ერთი ზიანი;
 - 8.4.2. გადაიხადოს შეწყვეტის მომენტისთვის არსებული გამომუშავებული პრემია თუ სადაზღვევო პერიოდში არ არის დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა.
- 8.5. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის მოქმედების შეწყვეტის ინიციატორი არის მზღვეველი (გარდა იმ შემთხვევისა თუ აღნიშნული განპირობებულია დამზღვევის მიერ ვალდებულების დარღვევით), დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ დაზღვევის შეწყვეტის მომენტისათვის გამომუშავებული სადაზღვევო პრემია.
- 8.6. სადაზღვევო პოლისის გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმივლობაში დამზღვევი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარი თქვას დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რა შემთხვევაშიც მხარეები ვალდებული არიან შეწყვეტის მომენტიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ერთმანეთს დაუბრუნონ ხელშეკრულების გაფორმების შესაბამისად მიღებული სიკეთე და აღადგინონ პირვანდელი მდგომარეობა (მათ შორის დამზღვევი ვალდებულია უკან დაუბრუნოს მზღვეველს მიღებული ანაზღაურება (ასეთის

არსებობის შემთხვევაში)). წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული დამზღვევის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ოფიციალური წერილის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (პოლისში მითითებული ელექტრონული მისამართიდან მზღვეველის cancelpolicy@nvi.ge ელექტრონულ ფოსტაზე) მოთხოვნის გამოგზავნით, რომელიც უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ფორმის შესაბამისად.

9. პრეტენზიის განხილვა, დავის გადაჭრა, ზიანის ანაზღაურება

- 9.1. დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე „მხარეთა“ შორის წამოჭრილი დავის ურთიერთშეთანხმებით დაურეგულირებლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით;
- 9.2. მზღვეველის მიმართ პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის მიღება, განხილვა და რეგულირება ხდება მზღვეველის „მომხმარებელთა პრეტენზიების მიღებისა და განხილვის პროცედურის“ შესაბამისად. პრეტენზია წარედგინება მზღვეველის ხარისხის მართვისა და მომხმარებელზე ზრუნვის სამსახურს შემდეგი საშუალებით:
- ა) წერილობითი (მატერიალური) ფორმით მზღვეველის ნებისმიერ ოფისსა და მომსახურების ცენტრში;
 - ბ) ელექტრონული ფორმით:
 - მზღვეველის ელექტრონულ ფოსტაზე complaints@nvi.ge პრეტენზიის დაფიქსირებით;
 - მზღვეველის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.nvi.ge საპრეტენზიო განაცხადის ფორმის შევსებით.
- გ) ზეპირსიტყვიერი ფორმით:
- მზღვეველის საინფორმაციო სამსახურში პრეტენზიის დაფიქსირებით, ნომერზე: (+995 32) 2 501 501
- 9.3. ნებისმიერი ფორმით წარმოდგენილ პრეტენზიაზე პასუხის მიღების ვადა შეადგენს განაცხადის/უკავიაფილების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეს. აღნიშნულ ვადაში გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, საქმის წარმოების ჯამური ვადა არ აღემატება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს. დეტალური ინფორმაცია მზღვეველის ოფის(ებ)ის/მომსახურების ცენტრ(ებ)ის მისამართ(ებ)ის და პროცედურის თაობაზე იხილეთ მზღვეველის ვებ-გვერდზე www.nvi.ge ან დაუკავშირდით საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე - (+995 32) 2 501 501.
- 9.4. დამზღვევი უფლებამოსილია, ასევე, მიმართოს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს; ქ. თბილისი, ლ. მიქელაძის ქ. N3, ტელ: (+995 32) 2 234 410, ვებ-გვერდის მისამართზე – www.insurance.gov.ge
- 9.5. თითოეული “მხარე” ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე „მხარეს“ მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პერსონალური მონაცემების დამუშავება

- 10.1. მზღვეველი დამზღვევის, მოსარგებლისა და უფლებამოსილი მძღოლების დამატებითი თანხმობის გარეშე დაამუშავებს დამზღვევის/მოსარგებლის/უფლებამოსილი მძღოლების პერსონალურ მონაცემებს:
- 10.1.1. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის, ვალდებულებების შესრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნებისათვის;
- 10.1.2. პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის, რაც გულისხმობს მზღვეველის (მისი აგენტების მეშვეობით) მიერ სხვადასხვა პროდუქტების/მომსახურების შეთავაზებას. წინამდებარე მიზნით მონაცემების დამუშავებაზე, დამზღვევს/მოსარგებლეს/უფლებამოსილ მძღოლს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს თქვან უარი, რა შემთხვევაშიც მზღვეველი შეწყვეტს შესაბამისი ინფორმაციის დამუშავებას;
- 10.1.3. ხარისხის მონიტორინგისა და აუდიტორული მიზნებისათვის, როგორც პირადად, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების მეშვეობით;
- 10.2. მზღვეველი უფლებამოსილია ზიანის დარეგულირების მიზნებისათვის, ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან, გამოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია. უფლებამოსილია მოიპოვოს დამზღვევის/უფლებამოსილი მძღოლის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური ინფორმაცია), რომელსაც პირდაპირ თუ ირიბად შეიძლება კავშირი წინამდებარე სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხარეთა ვალდებულებებთან, სადაზღვევო შემთხვევასთან ან/და ზიანის ოდენობასთან, ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან/ორგანიზაციიდან.

- 10.3. მზღვეველი, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს, უფლებამოსილია შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ასევე, დამზღვევის/მოსარგებლის/უფლებამოსილი მძღოლის პერსონალურ ინფორმაცია მიაწოდოს შპს „სადაზღვევო-საინფორმაციო ბიუროს“;
- 10.4. დამზღვევი ადასტურებს, რომ მიღებული აქვს/მოიპოვებს უფლებამოსილი მძღოლებისგან წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის დამუშავებაზე თანხმობას, რაც ცალსახად გულისხმობს დამზღვევის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაზე თუ მზღვეველს მიადგება ზიანი ამ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.
- 10.5. დამზღვევი პასუხისმგებელია მის მიერ მზღვეველისათვის მიწოდებული ინფორმაციის კანონიერებაზე, მათ შორის მესამე პირის პერსონალური მონაცემების (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემების) მიწოდებაზე. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი ადასტურებს, რომ ყველანაირ თანხმობას რაც დაკავშირებული იქნება მზღვეველისათვის ინფორმაციის მიწოდებისათვის და ასევე წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული თანხმობებისათვის, მოიპოვებს დამზღვევი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მზღვეველს მიადგება რაიმე სახის ზიანი/ზარალი (მათ შორის შესაბამისი ორგანოს მიერ ჯარიმა) ამ ზიანს/ზარალს სრულად აანაზღაურებს დამზღვევი მზღვეველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

11. კომუნიკაცია მხარეთა შორის

- 11.1. მხარეები თანხმდებან, რომ მხარეთა შორის ინფორმაციის მიმოცვლა (პოლისში შესატანი ცვლილებების შესახებ შეთანხმება) განხორციელდება როგორც მატერიალური დოკუმენტის, ასევე ელექტრონული ფოსტის (პოლისში მისი მითითების შემთხვევაში) ან/და ტელეფონის (პოლისში მისი მითითების შემთხვევაში) შეტყობინების საშუალებით, რომელთაგან ყველა საკომუნიკაციო არხით კომუნიკაციას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ითვლება წერილობით შეტყობინებად.
- 11.2. მხარე პასუხისმგებელია მეორე მხარისათვის მიწოდებული ინფორმაციის (დოკუმენტაციის) სისწორეზე, სიზუსტესა და ლეგალურობაზე. თუ მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიწოდებული ინფორმაცია (დოკუმენტაცია) ამგვარი არ აღმოჩნდა, ეს მხარის მიერ შესაბამისი ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება და მეორე მხარეს უფლება წარმოეშვება, არ შეასრულოს თავისი შესაგებელი ვალდებულება.

12. სხვა პირობები

- 12.1. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გაწერილი წინამდებარე პირობებით მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 12.2. ამ პირობების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში, დანარჩენი მუხლები და/ან პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო, ბათილი მუხლის და/ან პუნქტის ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი მუხლი და/ან პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა სადაზღვეო ხელშეკრულებების მიზანი. მხარის მიერ რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

დამზღვევზე წინამდებარე დაზღვევის პირობებით ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევა განხორციელდება დისტანციური არხის მეშვეობით, კერძოდ დამზღვევის მიერ მითითებულ ტელეფონზე ლინკის გაგზავნისა და შემზღვევი დადასტურების შესაბამისად. დამზღვევის მიერ პრემიის გადახდით კი დამზღვევი ადასტურებს, რომ გაცნობილია აღნიშულ პირობებს, ეთანამება მას და შესაბამისად გააქტიურდება სადაზღვეო პოლისი.



სავალდებულოა, შეავსოთ *-ით მონიშნული ველები

განცხადება

დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ

*დამზღვევი/განცხადებელი _____

*მისამართი _____

*დაზღვევის პოლისის ნომერი _____

*დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების თარიღი _____

დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი _____

წინამდებარე განცხადების შევსებით ვადასტურებ, რომ უარს ვამბობ დაზღვევის ხელშეკრულებაზე, შესაბამისად ვაუქმებ წინამდებარე განცხადებაში მითითებულ დაზღვევის პოლისს და ვაცხადებ თანხმობას, აღნიშნული პოლისით მიღებული სარგებელი/მიღებული ანაზღაურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დავუბრუნო მზღვეველს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

განცხადების შედგენის თარიღი _____

განცხადებელი _____

(ხელმოწერა)